საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბულაძე ცისანა ალექსანდრეს ასული

აბულაძე ცისანა ალექსანდრეს ასული (დ. 16. VI. 1933, ქუთაისი), თურქოლოგი, ისტორიულ მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1991).

დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1956). ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნ-ტის თურქოლოგიის კათედრის გამგე (1995–2005), ამავე უნ-ტის თურქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი (2014-იდან).

კ. კეკელიძის სახ. საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1958-იდან). მუშაობს საქართვ. ისტ. ოსმალურ. წყაროებზე. იკვლევს სტამბოლსა და იერუსალიმში დაცულ წმ. მიწის ქართ., სამონასტრო თემის ისტორიის XVI–XVIII სს. ოსმ. საბუთებს და აქვეყნებს ქართ. თურქ., ინგლ. და რუს. ენებზე. ავტორია წიგნებისა: „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები“ (1968), „ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი“ (1969, თანაავტორები: რ. გვარამია, მ. მამაცაშვილი), თურქულენოვან ხელნაწერთა კატალოგი (2004, თანაავტორი მ. ილურიძე), გურჯიზადე, „თბილისის დაპყრობის წიგნი“ თურქული ტექსტი ქართ. თარგმანით და გამოკვლევით, 1979, თანაავტორი მ. სვანიძე, რ-იც დაჯილდოებულია საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის პრემიით, „თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის“ (1983), „საქართველოს ისტორიის XV–XVIII სს. ოსმალური დოკუმენტური და ნარატიული წყაროები“ (რუსულ ენაზე 1989), მოხატული ისტ. დოკუმენტები საქართვ. სიძველეთსაცავებიდან (თანაავტორები: დ. კლდიაშვილი, თ. აბულაძე, ზ. სიხარულიძე, ი. კოშორიძე, 2011).

მ. ჯიქია